

შპს „სვიფტ კრედიტი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული
წლისათვის

თბილისი

2023

შპს „სვიფტ კრედიტი“

შინაარსი

შპს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. ფული და ფულის ექვივალენტები	13
5. გაცემული სესხები.....	13
6. ძირითადი საშუალებები	14
7. სხვა აქტივები	15
8. მიღებული სესხები.....	15
9. საგადასახადო ვალდებულებები	15
10. საპროცენტო შემოსავალი	16
11. ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი.....	16
12. სხვა შემოსავალი	16
13. სხვა საერთო ხარჯი.....	16
14. პირობითი ვალდებულებები	17
15. დაკავშირებული მხარეები	17
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	17
17. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი	18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ექვივალენტები	4	125,450	212,892	322,684
გაცემული სესხები	5	4,551,927	2,249,212	443,095
ძირითადი საშუალებები	6	37,552	34,148	26,325
სხვა აქტივები	7	69,744	3,857	464
სულ აქტივები		4,784,674	2,500,108	792,568
მიღებული სესხები	8	110,060	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	9	335,858	195,486	10,810
სხვა ვალდებულებები		39,911	13	-
სულ ვალდებულებები		485,830	195,499	10,810
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		4,298,844	2,304,609	781,758
სულ საკუთარი კაპიტალი		4,298,844	2,304,609	781,758
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,784,674	2,500,108	792,568

 ირაკლი ჩილაშვილი
 დირექტორი
 28.09.2023

 ლაშქარა ლაშქარაშვილი
 ბუღალტერი
 28.09.2023

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ექვივალენტები	4	125,450	212,892	322,684
გაცემული სესხები	5	4,551,927	2,249,212	443,095
ძირითადი საშუალებები	6	37,552	34,148	26,325
სხვა აქტივები	7	69,744	3,857	464
სულ აქტივები		4,784,674	2,500,108	792,568
მიღებული სესხები	8	110,060	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	9	335,858	195,486	10,810
სხვა ვალდებულებები		39,911	13	-
სულ ვალდებულებები		485,830	195,499	10,810
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		4,298,844	2,304,609	781,758
სულ საკუთარი კაპიტალი		4,298,844	2,304,609	781,758
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,784,674	2,500,108	792,568

ირაკლი ჩილაშვილი
დირექტორი
28.09.2023



ლემპარა ლემპარაშვილი
ბუღალტერი
28.09.2023

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	10	1,242,916	523,315
საპროცენტო ხარჯი	8	(882)	-
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,242,033	523,315
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	11	2,875,955	2,512,096
სხვა შემოსავალი	12	786,387	21,695
საოპერაციო შემოსავალი		4,904,376	3,057,106
პერსონალის ხარჯი		(555,878)	(506,263)
იჯარის ხარჯი		(249,251)	(287,823)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(13,364)	(7,116)
ზარალი აქტივების დაკარგვიდან		(155,940)	(318,093)
სხვა საერთო ხარჯი	13	(432,438)	(143,643)
მოგება დაბეგვრამდე		3,497,504	1,794,168
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(540,301)	(271,317)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		2,957,203	1,522,851
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,957,203	1,522,851

 ირაკლი ჩილაშვილი
 დირექტორი
 28.09.2023

 ლაშქარა ლაშქარაშვილი
 ბუღალტერი
 28.09.2023

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	10	1,242,916	523,315
საპროცენტო ხარჯი	8	(882)	-
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,242,033	523,315
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	11	2,875,955	2,512,096
სხვა შემოსავალი	12	786,387	21,695
საოპერაციო შემოსავალი		4,904,376	3,057,106
პერსონალის ხარჯი		(555,878)	(506,263)
იჯარის ხარჯი		(249,251)	(287,823)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(13,364)	(7,116)
ზარალი აქტივების დაკარგვიდან		(155,940)	(318,093)
სხვა საერთო ხარჯი	13	(432,438)	(143,643)
მოგება დაბეგვრამდე		3,497,504	1,794,168
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(540,301)	(271,317)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		2,957,203	1,522,851
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,957,203	1,522,851

ირაკლი ჩილაშვილი
დირექტორი
28.09.2023



ლევან ლაშქარაშვილი
ბუღალტერი
28.09.2023

7-18 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2020	-	781,758	781,758
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	1,522,851	1,522,851
განაწილებული დივიდენდი	-	-	-
31.12.2021	-	2,304,609	2,304,609
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	2,957,203	2,957,203
განაწილებული დივიდენდი	-	(962,968)	(962,968)
31.12.2022	-	4,298,844	4,298,844

 ირაკლი ჩილაშვილი
 დირექტორი
 28.09.2023

 ლაშქარა ლაშქარაშვილი
 ბუღალტერი
 28.09.2023

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31.12.2020	-	781,758	781,758
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	1,522,851	-
განაწილებული დივიდენდი	-	-	1,522,851
31.12.2021	-	2,304,609	2,304,609
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	2,957,203	-
განაწილებული დივიდენდი	-	(962,968)	2,957,203 (962,968)
31.12.2022	-	4,298,844	4,298,844

ირაკლი ჩილაშვილი
დირექტორი
28.09.2023



ლაშქარა ლაშქარაშვილი
ბუღალტერი
28.09.2023

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	2022	2021
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	34,129,272	27,011,569
გაცემული სესხები	(31,674,087)	(26,097,570)
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე		
გაცემული ფულადი სახსრები	(1,073,668)	(820,003)
გადახდილი გადასახადები	(646,055)	(191,386)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	735,462	(97,390)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(16,540)	(12,402)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(16,540)	(12,402)
მიღებული სესხები (წმინდა)	110,000	-
გადახდილი დივიდენდები	(915,601)	-
გადახდილი პროცენტი	(762)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(806,363)	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)	(87,441)	(109,792)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	212,891	322,684
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	125,450	212,891

 ირაკლი ჩილაშვილი
 დირექტორი
 28.09.2023

 ლაშქარა ლაშქარაშვილი
 ბუღალტერი
 28.09.2023

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	2022	2021
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	34,129,272	27,011,569
გაცემული სესხები	(31,674,087)	(26,097,570)
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე		
გაცემული ფულადი სახსრები	(1,073,668)	(820,003)
გადახდილი გადასახადები	(646,055)	(191,386)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	735,462	(97,390)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(16,540)	(12,402)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(16,540)	(12,402)
მიღებული სესხები (წმინდა)	110,000	-
გადახდილი დივიდენდები	(915,601)	-
გადახდილი პროცენტი	(762)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(806,363)	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)	(87,441)	(109,792)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	212,891	322,684
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	125,450	212,891

ირაკლი ჩილაშვილი
დირექტორი
28.09.2023



ლევან ლაშქარაშვილი
ბუღალტერი
28.09.2023

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სვიფტ კრედიტი“ (ს/ნ 405306182) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 10 დეკემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაშლიჯვარი, იასამნის ქ., N 6, ბ. 89. კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა ირაკლი ჩილაშვილი (პ/ნ 03001001916). კომპანიის დირექტორები არიან ირაკლი ჩილაშვილი (პ/ნ 03001001916) და პავლე ჩილაშვილი (პ/ნ 01030025326).

კომპანიას 2019 წლის 21 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტის N 389 განკარგულებით მიენიჭა სესხის გამცემი სუბიექტის (რეგისტრაციის # სგს-0120065) სტატუსი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტექნიკით უზრუნველყოფილი სალომზარდე სესხების გაცემა.

შპს „სვიფტ კრედიტი“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი იყო 7 ფილიალით:

ქ.თბილისი	ხიზანიშვილის ქ.31
ქ.ბათუმი	ჭავჭავაძის ქ.9
ქ.თბილისი	ხიზანიშვილის ქ.29
ქ.თბილისი	ხიზანიშვილის ქ.30
ქ.თბილისი	ხიზანიშვილის ქ.27
ქ.რუსთავი	მესხიშვილის ქუჩის მიმდებარედ
ქ.თბილისი	შინდისელი გმირის ქ.27

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

კომპანია მიმდინარე პერიოდში პირველად წარადგენს მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებულ პირველი ფინანსურ ანგარიშგებას. გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2021 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2021 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;

სასესხო მოთხოვნები (გაცემული სესხები) - ფინანსური აქტივი;

სასესხო ვალდებულებები (მიღებული სესხები) - ფინანსური ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

კომპანია ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ;
- გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და
- პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველად მენეჯმენტი აფასებს არსებობს თუ არა თითოეული დიდი მოცულობის მქონე აქტივის გაუფასურების ობიექტური საფუძველი და მცირე მოცულობის აქტივების ცალ-ცალკე ან ერთობლივად გაუფასურების საფუძველი. თუ დადგინდა, რომ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთობლივად. ფინანსური აქტივების ჯგუფისთვის მომავალი ფულადი ნაკადები ფასდება წარსული გამოცდილების საფუძველზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, გაუფასურების განსაზღვრაში არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილების სტატუსი და უზრუნველყოფის საგნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეალური ღირებულება.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, კომპანიამ უნდა აღადგინოს (უკუგატარებით) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სასესხო ვალდებულებები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხების მიღებასთან დაკავშირებით. სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ოფისის აღჭურვილობა	3-5 წელი
ავტო და სხვა ინვენტარი	3-5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ვინაიდან ფინანსური ინსტიტუტები ესტონურ მოდელზე გადადიან 2023 წლიდან, ხოლო შპს სვიფტ კრედიტი წარმოადგენს სგს-ს, მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლიურად, მიმდინარე წლის დასაბეგრი (15%-იანი განაკვეთი) მოგების საფუძველზე. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

მოგება-ზარალი. მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნებაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან მოგების გადასახადი იანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით. სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო (დასაბეგრი)მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების სახით.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.7 შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

კომპანიის საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანია გამოითვლის საპროცენტო ხარჯს ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

სხვა შემოსავალი და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

2.8 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1 USD / GEL	2.7020	3.0976	3.2766

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

2.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოძვევენი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა არ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, თუმცა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას გარიგების ფასით, თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	121,876	128,839	310,990
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,290	83,728	11,693
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	284	324	-
სულ	125,450	212,892	322,684

კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

5. გაცემული სესხები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
გაცემული სესხები	4,502,962	2,225,350	439,136
მისაღები პროცენტები	48,965	23,861	3,959
სულ	4,551,927	2,249,212	443,095

კომპანიის კლიენტებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები. კომპანია თვლის რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ იქნება მნიშვნელოვანი ამიტომ არ ქმნის საჭკო მოთხოვნების ანარიცხებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
დეკემბერი 31, 2020	2,421	21,126	9,647	33,194
მატება	290	14,407	242	14,939
კლება	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	2,711	35,533	9,889	48,133
მატება	11,300	6,868	-	18,168
კლება	(600)	(800)	-	(1,400)
დეკემბერი 31, 2022	13,411	41,601	9,889	64,901
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>				
დეკემბერი 31, 2020	(396)	(4,309)	(2,164)	(6,869)
მიმდინარე წლის ცვეთა	(397)	(4,459)	(2,259)	(7,116)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	(793)	(8,769)	(4,423)	(13,984)
მიმდინარე წლის ცვეთა	(2,123)	(8,098)	(3,144)	(13,364)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2022	(2,916)	(16,866)	(7,567)	(27,349)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>				
დეკემბერი 31, 2020	2,025	16,817	7,483	26,325
დეკემბერი 31, 2021	1,918	26,764	5,466	34,148
დეკემბერი 31, 2022	10,495	24,735	2,322	37,553

კომპანიის ძირითად საშუალებებზე არ არსებობს უფლებრივი შეზღუდვები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

7. სხვა აქტივები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
გაცემული ავანსები	27,781	3,257	464
გადახდილი ბაჟები	12,400	600	-
სხვა მოთხოვნები	29,564	-	-
სულ	69,744	3,857	464

8. მიღებული სესხები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
მიღებული სესხი	110,000	-	-
გადასახდელი პროცენტები	60	-	-
სულ	110,060	-	-
	2022	2021	
საპროცენტო ხარჯი	882	-	-
სულ	882	-	-

9. საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
საგადასახადო ვალდებულებები	335,858	195,486	10,810
სულ	335,858	195,486	10,810

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

საგადასახადო კუთხით გადასახადების დარიცხვა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილია ყველა გადასახადის ნეტო შედეგი.

10. საპროცენტო შემოსავალი

	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი	1,242,916	523,315
სულ	1,242,916	523,315

საპროცენტო შემოსავლის დაანგარიშება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

11. ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი

	2022	2021
მიღებული ჯარიმები	2,875,955	2,512,096
სულ	2,875,955	2,512,096

კომპანია ჯარიმებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს საკასო მეთოდით, ვინაიდან თვლის რომ აღნიშნული მეთოდი მეტად შეესაბამება რეალობას.

12. სხვა შემოსავალი

	2022	2021
საკომისიო შემოსავლები	784,766	-
სალაროს ზედმეტობა	1,621	2,147
შელავათი საშემოსავლო გადასახადზე	-	19,548
სულ	786,387	21,695

13. სხვა საერთო ხარჯი

	2022	2021
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	46,871	47,213
საკანცელარიო ხარჯი	46,113	20,707
კომუნიკაციის ხარჯები	15,321	9,769
კომუნალური ხარჯები	22,231	24,103
დაცვის მომსახურების ხარჯი	22,363	19,764
შეძენილი მომსახურების ხარჯი	238,286	5,786
სხვა საოპერაციო ხარჯები	41,252	16,300
სულ	432,438	143,643

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

15. დაკავშირებული მხარეები

დაუფარავი ნაშთები

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები			
აქციონერის წინაშე	110,060	-	-

ოპერაციები

	2022	2021
ხელმძღვანელობაზე დარიცხული ხელფასი	92,962	91,837
აქციონერზე დარიცხული პროცენტი	822	-

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე აქციონერისგან დამატებით მოიზიდა სესხად 535,000 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

17. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2023 წლის 28 სექტემბერს.